



პრესრელიზი

თბილისი, 12 დეკემბერი, 2017

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“ გახსნის ცერემონია

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის“ პრეზენტაცია

2017 წლის 12 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“, გახსნის ცერემონია. 24 - თვიანი პროექტი, რომლის საერთო ბიუჯეტია 2,18 მილიონი ევრო, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2017 წლის მაისიდან ხორციელდება.

პროექტის მიზანია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობისა და პროფესონალიზმის შემდგომი გაძლიერება, რაც წვლილს შეიტანს საქართველოში საჯარო ფინანსების კონტროლისა და ანგარიშგების გაუმჯობესებაში.

ცერემონიის ძირითადი ნაწილი დაეთმობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018-2022 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას, რომელსაც გენერალური აუდიტორი, ირაკლი მექვაბიშვილი წარადგენს. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პროექტის მიმდინარეობისას გაცემულ რეკომენდაციებს და მოიცავს სას-ის განვითარების სამომავლო პრაქტიკულ ნაბიჯებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი წარადგენს გეგმებს, სამომავლო აქტივობებს და დასახულ მიზნებს. პროექტი ფინანსდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიულ განვითარებას, კანონის უზენაესობას და ეფექტიან მმართველობას. პროექტი პირდაპირ კავშირშია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების 1.2 მუხლთან, რომელიც მიზნად ისახავს „დემოკრატიის გაძლიერებას და პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის ხელშეწყობას საქართველოში“.

პროექტის განმახორციელებელ კონსორციუმს ხელმძღვანელობს GFA Consulting Group GmbH, (GIZ) გერმანია. კონსორციუმში ასევე გაერთიანებული არიან გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების საერთაშორისო განყოფილება (GIZ-Ins) და ლატვიის სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

ცერემონიის მთავარი მომხსენებლები არიან: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, გენერალური აუდიტორი ირაკლი მექვაბიშვილი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში იანოშ ჰერმანი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:

- რუსუდან შამუგია, პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, E. rshamugia@sao.ge; T. +995 577 47 99 99
- ფერდინანდ პოტი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტი - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“, E. ferdinand.pot@gfa-group.de